26 აპრილს (8 მაისს) 1869.

№ 17.

მეოთხე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

	Გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	Გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ტფილისს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

Განცხადებები.—Კორრესპონდენცია ქუთაისიდან.—Პოლიტიკა: Ინგლია.—Ისპანია.—Ამერიკა.-Ფრანცია.—Იტალია.—Საბერძნეთი.—Ტელეგრამმები.—„Ამხანაგისადმი“. — ლექსი.—მოთხრობა ლაბულესი.—

პეტერბურგში იბეჭდება და ამ აპრილის ბოლოს საქართველოსაკენ გამოიგზავნება:

კაცია ადამიანი,

მოთხრობა

ილ. ჭავჭავაძისა (მ. ჯიმშერიძისა).

რედაქციის განცხადება.

დღესასწაულებისა გამო ეს ნომერი გამოვიდა ხუთშაბათის ნაცელათ შაბათს.

რადგან „დროების“ რედაქტორი თავის საჭიროებისათვის მიდის პეტერბურგს, იმის მაგიერად დროებით რედაქტორობა გაზეთისა იკისრა უფ. მესხმა.

„დროების“ კორრესპონდენცია.

ქუთაისი, 20 მარტს. მარტის 12 მე დაეესწარ ქუთაისის ოლქის სასამართლოში, სადაც იყო გასამართლება Oუთბერიძის ქერეის და იმის ორი პაწაწა შვილების მკვლელებისა. რაოდენათაც საშინელი და ავი გასაგონია დედისა და ძმის დახოცვა შვილისაგან, ეგოდენათ საინტერესო იქნება „დროების“ მკითხველთათვის ამისთანა საოცარი ბოროტების ამბავი. ამისთვის საჭიროდ შევრაცხე ამ საგნის მოკლეთ განხილვა იმ სახით, როგორც ის აწარმოეს საეროთ ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

მთელი დასავლეთის საქართველო შესძრა ამ ამბავმა.... ქუთაისის მცხოვრებნი დიდის სურვილით ელოდნენ გასამართლების დღესა. წინათვე იცოდნენ, რომ მრავალი მაყურებელი მიაწყდებოდა ოლქის სასამართლოს და იქ იმდენი ალაგიც არ იყო. ამისთვის გადასწყდა, რომ სასამართლოს ზალაში შესელა ბილეთებით უნდა ყოფილიყო. სამი-ოთხი დღის წინათ პროცესსის დაწყებისა ბილეთები აღარ იშოვებოდა....

დადგა 12 მარტი და მეთერთმეტე საათზე სასამართლოს ზალაში მყოფ მაყურებელთა გული იყო შეშფოთებული საზარელის ამბის მოთხრობითა.

1868 წელს 4 მაისს დილით ადრე მაზრის მთავრობას შეატყობინეს, რომ შორაპნის მაზრაში სოფელს ფუთს მოხდა მკვლელობაო. გამოძიებელი საჩქაროთ წავიდა იქ, საცა დანაშაულობა მომხდარიყო. გამოძიებელის თვალს წარმოუდგა თხრილ შემოვლებული მოორჩილი ეზო, სადაც იდგა ორი სახლი; ერთი ქვითკირისა ხუთ ოთახიანი და ცოტა მოშორებით მეორე ხის სახლი ორ ოთახიანი. ქვითკირის სახლის პირდაპირ ალაყაფის კარები იყო და სახლს უკან პატარა ლასტის ჭისკარი. ქვითკირის ოდას წინ ბალკონი ჰქონდა; ბალკონიდგან ოთახში რომ შევიდნენ საზარელი სურათი დაჰხვდათ. დედა ხელებ-დაჭრილი, თავდაჩეხილი, პირ გაპობილი და ყელგამოჭრილი ეგდო პოლზე, იმის გვერდით იდვა ორი წლის ყელგამოჭრილი ვაჟი. ტახტზე ცხრა წლის ქალი სისხლში სცურავდა. პოლი ყველგან მოსერილი იყო სისხლითა და ალაგ-ალაგ თმის ნაკვეცები ეყარა. მკვდრის ხელები მაჯებში გადაჭრილი იყო და იქვე ეყარა. იმ ოთახში ერთი კედლიდგან მეორე კედლამდის ჩაუყვებოდა მოგძო ტახტი, რომელიც ჭერიდგან ჩამოშვებული ფარდით იყო ორს ნაწილათ გაყოფილი; ერთ ნახევარზე ქვეშსაგები იყო გაწყობილი, და დედის ბალიშზე სისხლის ნაკადულები აჩნდა და გარემო მდებარე საგნებიც სისხლით იყო გათხუპნული. როგორც ეტყობოდა, პირველათ მძინარესთვის სახეზე დაეკრათ ხანჯალი და გადმოსხმულს სისხლს გაეთხუპნა გალებული კარის პირებიცა, რომელიც შედიოდა იმ ოთახში, სადაც შვილი იწვა; გაღების დროს კარი ხვდებოდა ხოლმე ტახტს სასთუნალის მახლობლათ. როგორც სჩანდა, ქალი პირველ დაკვრაზე გაცოფებული წამოვარდნილა და შებრძოლებია თავის მტერს, ურბენია ოთახში და ამისთვისაც პოლი სხვა და სხვა ადგილას სისხლით მოსერილა; ამ რბენის დროს მკვლელნი, საცა მოსწეევიან, იქ დაუკრავთ თავზე აქეთ-და-იქით. ყოველ დაკვრაზე, რასაკვირველია, დააჭრიდენ ნაკვეც-ნაკვეცათ თმასა, რომელიც ეყრებოდა პოლზე. როგორც ლეკრმა დაამტკიცა, ქალი ყოფილა ღონიერი. ამისთვის საცა კი მოაელებდა ხელს მკვლელებსა, ძნელად ღა გაუშვებდა და მკვლელნიც გაბრაზებულნი დაასხეპდენ ხელებსა, რომ დაცვის ღონე არა ჰქონოდა და მალე მოესწრაფებინათ სიცოცხლე. ხელის თითები დასერილი უნახეს და თითებსა და თითებს შუა ჩაჭრილებიც ჰქონდა; როგორც სჩანდა სულ-მობრძაეს ხან მალლა აუღერია ხელები, რომ თავი დაეფარა დაკვრისაგან და ხან უტაცნია ხოლმე ხანჯალში ხელი, რომლისაგამო ყველა თითები გადასერილი ჰქონდა. სხვათა შორის ქალს მუხლის სახსარშიაც კი ჰქონდა ჭრილობა, რომელიც ამტკიცებს იმის მხნეთ თავის დაცვასა. რომ ველარ დაუმორჩილებიათ, ბოლოს მუხლში შემოუკრავთ ხანჯალი, დაუციათ და შემდეგ ყელი გამოუჭრიათ.

იმ ოთახს, სადაც იდგა ეფროსინე და სადაც მოკლულნი ეყარენ ეხლა, ჰქონდა სამი ერთი ფარა არ გაგვაჩნიაო და ეეედრებოდენ ფაშას ეპატიებინა მათთვის და შეეწყალებინა ხონთქარსაც; მაშინ ალი გულგრილად, ყავის სმასაც არ შეაჩერებდა ისე, გასცემდა ბრძანებას, რომ ეცემათ ამ ვაჭრებისთვის ფეხის ქუსლებზე, მინამ ისინი ფულებს არ მოიტანდენ; ასე რომ ვაჭრები საცა იყო და არ იყო ყოველთვის მონახვიდენ ფულს და მოართმევდენ ფაშას. ალი-ფაშა დაითვლიდა ფულს; ნახევარს ხონთქარს გაუგზავნიდა და ნახევარს ზანდუკში ჩაიდებდა; შემდეგ ისევ მოჰყვებოდა თავის ყალიონის წევასა. ხშირად იმ დღეს ალი სჩიოდა, რომ დავიღალეო და ძლიერ მიჭირს ჩემი თანამდებობის ასრულებაო, მაგრამ მეორე დღეს კი ყველა ესენი ავიწყდებოდა და მეორე თვეში ის ისევ გულგრილათ და უანგაროდ ჰკრეფდა ხარჯსა. ერთი სიტყვით ალი იყო სამაგალითო ფაშა.—

ყავისა, ყალიანისა და ფულის გარდა, ალის ყველაზე უფრო უყვარდა თავისი ქალისახელად „თვალის ჩინი“. ის უყვარდა უფრო იმიტომ რომ მასში იყვნენ გამოსახულნი ალის ყოველნი სათნოებანი. თვალის-ჩინი იყო ძლიერ ლამაზი, მაგრამ ძლიერ ზარმაცი: უმოახლოდ ის ფეხის გადგმას არ იკადრებდა; თეთრი ტყვე ქალი იმას უბარცხნიდა თმას და უსწორებდა ტანისამოსსა; ყვითელ ტყვეს ეჭირა იმის წინ სარკე და აგრილებდა მას მარაოთი და ზანგი ამ დროს შეაქცევდა თვალის-ჩინს თავის პირის სახის ღრეჭით; ის მიიღებდა ამის მაგივრად საჩუქრად ან ალერსსა ან ტყეპას, თუ ეს ღრეჭა არ გააცინებდა თვალის-ჩინს. ყოველ დღე თვალის-ჩინი დასეირნობდა ხოლმე ხარებ შებმულ ურმით; სამი საათი იჯდა წყლის აუზში; დანარჩენ დროს ვიზიტებს აკეთებდა, სჭამდა ვარდის მურაბას, ბროწეულის შარბათს, უყურებდა მოთამაშეებს და დასცინოდა თავის ამხანაგებს. წიგნების კითხვა, ფიქრი, კერვა—ქსოვა,—ეს სულ მოახლეების საქმეა. ზანა ახალგაზდას, ლამაზს, ფაშის ქალს ქეიფის გარდა სხვა რამ შეჰფერის?!.. ზანა უსაქმობისთანა სახალისო და სასიამოვნო არის კიდევ რამ? ასე ფიქრობენ ოსმალები, მაგრამ ქრისტიანებშიაც კი ბევრი დეთანახმება ამ აზრსა.

დედამიწაზე რომ საუკუნო ნეტარება მოიპოვებოდეს, ზეცა დაავიწყდებოდა კაცს; ეს კარგა გამოსცადა ჩვენმა ალიმ. ერთხელ ხარჯის მოკრეფის დროს ალიმ სხვათა შორის კარგა გვარიანათ გატყეპა ჯოხით ერთი ბერძენი, რომელიც თურმე ინგლიის მფარველობის ქვეშ ყოფილიყო; გატყეპილმა რაც შეეძლო იყვირა ამ საქმეზე. ინგლიის ელჩმა, რომელსაც ღამ-ღამ ცუდათ ეძინა, კიდევ უფრო ხმა მაღლად იყვირა; ინგლიამ, რომელიც თავის დღეში არ არის მიძინებული, ელჩზე კიდევ მაღლა დაიყვირა; გაზეთებმა და პარლამენტმა დაიწყეს ღრენა და სჯა ამ საქმეზე; ბოლოს ხონთქარს მუშტი უჩვენეს; ამდენმა ყვირილმა და ხმიანობამ, ასე უბრალო საქმისთვის, ხონთქარს თავი მოაწყინა, მაგრამ რადგანაც ინგლიას ისე ვერ მოეპყრობოდა, როგორც ვაჭრებს, არჩია ისევ ალიფაშასთვის მოეხვია თავზე ეს საქმე. პირველად ხონქარს უნდოდა თავის ძველი მეგობრის—ალის დახჩობა, მაგრამ შემდეგ იფიქრა, რომ მართლმორწმუნე მუსულმანის დახჩობა მეტათ გამპარტავანებს ურწმუნო ქრისტიანებსო და ამის გამო გამოსცა ყოველად უმოწყალესი ბრძანება, რათა გაეგდოთ ალი-ფაშა ერთ უადამიანო და უნაყოფო ზღვის პირას და მოეკლათ იქ ის შიმშილით.—ალის ბედზე მის მაგივრად ფაშად დანიშნეს ერთი ძველებური კაცი, რომელმაც კარგათ იცოდა, რომ ხონთქრის ხასიათი ხშირად იცვლება ხოლმე; ახალმა ფაშამ იფიქრა, შეიძლება ოდესმე ხონთქარს მოუბრუნდეს გული ძველი ალისაკენ და აპატიოს; მაშინ ხონთქარი დაუმადლებს იმას კეთილი გულიანობისათვის; საიდუმლოდ მოაყვანინა ალი და მისი ქალი, მისცა იმათ ტანისამოსი, ტყვეები, რამდენიმე ფული და გამოუცხადა, რომ თუ ისინი ხვალ მის საფაშოში ნახა ვინმე, მაშინ იმათ ან ჩამოახჩობენ და ან თავს გააგდებინებენო. ალიმ დაუმადლა ფაშას ამისთანა მოწყალებისათვის და ერთი საათის შემდეგ გაემგზავრა ქარავნით სირიისაკენ. იმ საღამოსვე ქ. ბაღდადის ქუჩებზე გამოაცხადეს, რომ ალიფაშა გამოცვალეს და გააგდეს საფაშოდანო. ეს ახალი ამბავი ყველასთვის, რასაკვირველია, დიდათ სასიამოვნო იყო; ყველგან ლოცვიდენ და ადიდებდენ ხონთქარს სამართლიანობისათვის და ქვეშევრდომებზე თვალ-ყურის დევნისათვის; ასე რომ როდესაც მეორე თვეში ახალმა ხელმძღვანელ ფაშამ მოითხოვა ორნახევარი მილიონი პიასტრი ხარჯათ, მშვიდობიანმა ბაღდადის მოქალაქეებმა დიდის კმაყოფილებით გარდაიხადეს, და კიდევაც ჰმადლობდენ ღმერთს რომ განთავისუფლდენ ალისაგან, რომელიც დიდის ხნის განმავლობაში უწყალოდ და დაუსჯელად სცარცვავდა იმათ.—

სიკვდილისაგან გადარჩენა, რასაკვირველია, კარგია; მაგრამ ვინც სიკვდილს გადურჩა, იმას ცხოვრება, საჭმელი უნდა და ეს ადვილი არ არის, ნამეტურ იმისთვის, ვინც სხვისი ხელებით და ფულებით ცხოვრებას მიჩვი-

ფელეტონი.

ფაშა — მწყემსი.

ოსმალური არაკი თხზ. ლაბულესი.

(ნათარგმნი)

ბაღდადის ქალაქში ოდესმე სცხოვრებდა ერთი ფაშა. ხონთქარს ეს ფაშა ძლიერ უყვარდა, ქვეშევრდომებს კი იმისი ძლიერ ეშინოდათ. ეს ფაშა-სახელად ალი-იყო ნამდვილი მუსულმანი და ძველებური ოსმალო. რაკი მტრედის ფრად ინათებდა, ალი მაშინვე ხალიჩას გაშლიდა, პირს ქაბასაკენ (მეკკა) მიაქცევდა და ნამაზსა და ლოცვას სასოებით შეუდგებოდა. მას შემდეგ ორი ალის ფრად ჩაცმული ტყვე ჩიბუხსა და ყავას მოართმევდა იმას; ასე ამ გვარად ალი მუხლ-მოკეცილი გაატარებდა ხოლმე მთელ დღეს. ალი-ფაშის საქმე სულ იმაში მდგომარეობდა, რომ პატარ-პატარა ულაპით ნებიერად მიირთმევდა შავს, მწარეს და ცხელ-ცხელ არაბეთის ყავას; ნელ-ნელად შეექცევოდა გრძელი ყალიანიდგან სმირნის თამბაქოს წევასა, ეძინა, არაფერს არ აკეთებდა და არც არასა ფიქრობდა ხოლმე. ალის თვეში ერთხელ უშლიდნენ თავის ჩვეულებრივ განსვენებას; ეს მაშინ, როცა იმას სტამბოლიდან მოსდიოდა ბრძანება ერთი მილიონი პიასტრის (შაურის) საფა'მო ხარჯისა ხაზინაში შეტანის თაობაზე. იმ დროს ის მდიდარ ბაღდადის ვაჭრებს მოიხმობდა ხოლმე და ზრდილობიანად სთხოვდა, რომ ორი მილიონი პიასტრი წარმოედგინათ; ვაჭრები დაიწყებდენ მაღლა ხელების შეშვერას, გულში ცემას, წვერების წეწვას, ტირილით ფიცვას მოჰყვებოდნენ, რომ არც

კარი ერთი ბალკონიდგან, მეორე განის კარი, რომელიც ხის სახლისკენ იყო მიმართული და ერთი უკანა-კარი, რომელიც შეჰდიოდა იმ ოთახში, სადაც ეძინა შვილს Iაკინთე Oუთბერიძეს. Bანის კარი და ბალკონის კარი შიგნიდგან ირაზებოდა, ასე რომ შეუმტვრეველათ ამ კარებიდგან ვერავინ შევიდოდა. Mკვლელები თუ შეიდოდნენ, ისევ იმ კარიდგან, რომელიც გადიოდა შვილის ოთახში და გარეშე კაცთაგანი რომ ვინმე მოსულიყო მოსაკლავათ, პირველ Iაკობ Oუთბერიძეს მოჰკლავდა.

Sახლის გაჩხრეკის დროს შვილის საწოლს ოთახში, ალაგებულს ქვეშსაგებს ქვეშ ჰნახეს ახალი გაწმენდილი ხანჯალი და ტარზე წითელი ლაქები, აგრეთვე ქარქაშიც სისხლ მოცხებული იყო. Eს ხანჯალი Iაკინთეს ბიძის Iვანე Oუთბერიძის აღმოჩნდა. Iმავე ოთახში კუთხესთან სტოლს ქვეშ ნახეს სისხლით გასვრილი ცული. Iაკინთე Oუთბერიძეს გახადეს ტანისამოსი და ჯიბეში უნახეს თხოვნა დედის მაგიერათ, რომელიც სთხოვდა ეპისკოპოსს, რომ ობლებისათვის აპეკუნათ დაენიშნა Kიკვაძე მღვდელი, რომელიც იდგა იმავე სახლში და ეჭირა მეორე კუთხეში ერთი ოთახი. Iაკინთე Oუთბერიძეს პერანგის ამხანაგი არ ეცვა. Rომ ჰკითხეს, ჯერ სთქვა, სულ არა მქონიაო და მეორე კითხვაზე სთქვა, რომ წინაღამეს გამოეცვალე და დედას მივეცი, რადგან გაჭუჭყიანებული იყოვო. Zემოთ რომ ხის სახლი მოვიხსენეთ, იქ ცხოვრობდა თავის სახლობით და მოჯამაგირეებით Iვანე Oუთბერიძე, ბიძა Iაკინთე Oუთბერიძისა. Oთახში ნახულმა ნივთებმა და სხვა გარემოებისაგამო ეჭვი მიიტანეს შვილზე Iაკინთე Oუთბერიძეზე, იმის ბიძაზე—Iვანე Oუთბერიძეზე და მღვდელზე—Tრიფონ Kიკვაძეზე.

Sაქმიდან სჩანს, რომ Iაკინთემ რვაჯელ გამოცვალა თავის ჩვენება; ჯერ სთქვა, რომ როცა ჩემი დედა და და-ძმა დახოცეს, იმ ღამეს ჩემ ოთახში მეძინა და ძილში მომესმა ხმაო: შვილო, Iაკინთე, მიშველეო; წამოვარდი, მივვრდი კარებს, მაგრამ შიგნიდან მკვლელებს კარები მაგრათ ეჭირათ და არ შემიშვესო. მერე როცა დახოცეს მეორე კარი გაღეს და ბალკონიდგან გავიდნენო. მე შევარდი დედის ოთახში, მაგრამ იქ არავინ ყოფილაო; იქიდგან ბალკონზე გავედი და შორს ხეს ქვეშ ღამეში დავინახე ეინღაცა კაცი; რომ მივედი, ბიძაჩემი Iვანე Oუთბერიძე დამხვდა, რომელიც გამიტყდა და მითხრა, რომ მე, Sიკო Mაჭავარიანმა და კიდევ სხვებმა მოვკალით დედა შენი; Rმერთი არ გაგიწყრეს არ გაგვამხილოო.

Sემდეგ 17 მაისს Iაკინთე Oუთბერიძემ შეცვალა ჩვენება და სთქვა, რომ ჩემი წინანდელი ჩვენება ტყუილიაო, გონებაზე არ ვიყავი მოსული და იმიტომ მართლათ ვერ ვაჩვენეო.

20 მაისს ქვითკირის სახლს ქვეშ ნახეს ჩაკუჭნული სისხლით გასვრილი პერანგი, იმის ამხანაგი და ნაცრის ფერი შალვარი.

23 მაისს როდესაც უჩვენეს ეს სისხლით გასვრილი პერანგი და პერანგის ამხანაგი, იმან სთქვა ეგება ჩემიაო და მაშინ კიდეც გამოტყდა, რომ მკვდრები მე დავხოცეო.

Aმასთანავე ჩვენებაც გამოსცვალა ამ გვარათ: წარსულის წლის ოცდა სამს აპრილს ჭუთაისს წავედი; დედაჩემის არზა უნდა მიმეცაო ეპისკოპოზისათვის მღვდლის Kიკვაძის აპეკუნათ დასანიშნავათ; მაგრამ არზა აღარ მივეცი, რადგან დედაჩემს ამაზე წინეთ ეპისკოპოზისთვის ეთხოვნა ჩემი უფროსი შვილი Aლექსი დანიშნეთ აპეკუნათაო. Aმის გამო 27 აპრილს ისევ შინ მოვბრუნდი და სამს მაისს საღამოს ამაზე დედაჩემს და მე მოგვივიდა უკმაყოფილებაო. Dედა გაჯავრდაო და სთქვა, არც ჩემს შვილს Aლექსის დავნიშნავ და არც Kიკვაძეს აპეკუნათაო, იმათ მაგიერათ ჩემს ძმას დავნიშნავო. Aმ ლაპარაკზე დაესწრო, ამბობს Iაკინთე Oუთბერიძე, გარდა მღვდლის Kიკვაძისა—Sიკო მაჭავარიანი და ბიძა ჩემი Iვანეო. Aმის შემდეგ მღვდელი და იქ მყოფნი გავიდნენ გარეთ და ხეს ქვეშ ილაპარაკეს კარგა ხანსაო. მერე მეც მიმიხმეს და მითხრესო; ამდენს დავიდარაბას, ის არ სჯობიან, დედაშენი მოკლა და განთავისუფლდე იმის შეწუხებისაგანაო; მე არ დავეთანახმე და მერე მითხრეს, ამბობს Iაკინთე, მაშ ჩვენ მოვკლავთ, ოღონდ შენ როცა დაწვე, ფანჯარა დააგდე დაუკეტელიო..... Iმ ღამეს მართლაც მოხდა მკვლელობა. Eს ჩვენება არ არის დასაჯერი, რადგან საქმის გარემოებიდგან არა სჩანს, რომ წინათ ყოფილიყოს მოსაზრებული ამ ბოროტების მოხდენა და თუ მარტო იმ საღამოს განიზრახეს, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამისთანა საშინელი ამბავი ასე უცებ განზრახვისათანავე აესრულებინოსთ. Iმას უნდოდა დიდი ფიქრი: მკვლასთან ისიც იქნებოდა სააზრებელი, რომ როგორმე არავის გაეგო და ეჭვი არ აეღოთ მკვლელებზე. Iმათ უნდა განესაჯათ ბევრი გარემოება, რომ მკვლელობა დაფარულიყო და დამნაშავენი არ მიეკვლიათ. Aმისთანა თადარიგის დაჭერა არ მისცემდა მკვლელებს ნებას, რომ თავისი ბოროტი განზრახვა ისე უცებ აღესრულებინათ. Iაკინთე Oუთბერიძე ამბობს, როცა მღვდელმა Kიკვაძემ Eფროსინას ოთახში შესასვლელი კარი გაალო, ვიღამაც ხანჯალი მომცა, რომ პირველ მე დამეკრაო. Xანჯალი დავკარიო დედას და მაშინვე გრძნობა დამეკარგა და დავეციო.... Mაგრამ შემდეგი მოთხრობიდგან სჩანს, რომ ეს გრძნობა-დაკარგული კაცი გონებას ადგენდა, თუ როგორ მოქმედებდენ მკვლელები; მოკვლის შემდეგ ყველანი გავიდნენ ოთახიდგან, გამოიცვალეს ტანსაცმელი და შემოვიდნენ ისევ ოთახში; მღვდელმა სისხლით გასვრილი ნიფხავ-პერანგი გამაძრო, ჩაკუჭნა კუთხეში და მე შავი ახალუხი ჩამაცვაო... (დასაჯერი არ არის, რომ გრძნობა დაკარგული კაცი დაწვრილებით ადგენდეს თვალყურს იმას, რაც მის გარემო ჰხდება). 25 მაისს, როცა ბიძა მისი Iვანე Oუთბერიძე წაუყენეს პირში Iაკინთეს, იმან შესცვალა წინანდელი ჩვენება და სთქვა, რომ დედა და და-ძმა მხოლოდ მე დავხოცეო. Sემდეგ პირველ ივნისს ეს ჩვენებაც შესცვალა და მკვლელებათ დაასახელა ისევ თავის ბიძა Iვანე, მღვდელი Kიკვაძე და Tარიფონ [illegible].

Oუმცა გამოძიება იმდენათ ვერ იყო წარმოებული, რომ კაცს ნათლად ეჩვენებინა ყველა დამნაშავენი, მაგრამ ის კი ცხადათ სჩანდა, რომ უმთავრესი დამნაშავე უნდა ყოფილიყო Iაკინთე Oუთბერიძე და იმის ბიძა Iვანე, რომლის გავლენის ქვეშაც ყოფილა თვითონ Iაკინთე Oუთბერიძე, როგორც 25 მაისის ჩვენებამ დაამტკიცა, როდესაც Iვანე Oუთბერიძე პირში წაუყენეს, Iაკინთემ სთქვა რომ Iვანე არ რევია დედა ჩემის მოკვლაშიო, ისიცა და ჩემი და-ძმაც მე დავხოცეო, მაგრამ პირს უკან კი ყოველთვის ამბობდა, თავი კაცი ის იყოვო.—Aმ გამოძიებაში ყველაზე უფრო დახლართული შეიქნა მღვდლის Kიკვაძის საქმე. Bამომძიებელის აზრით მღვდელი Kიკვაძეც მიუცილებლათ უნდა რევიყო ამ კვლაში და სასამართლომაც ამა საბუთით ისიც ისე დასაჯა, როგორც თავი მკვლელები Iაკინთე და ბიძა Iვანე—Oუთბერიძეები. Mღვდლის ადვოკატი უფ. Nიკოლაძე ამტკიცებდა, რომ მღვდელს და Aფროსინეს შუა კარგი განწყობილება ყოფილა; ხუთი წელიწადი მდგარა მღვდელი Eფროსინეს სადგომში და ამ ხუთის წლის განმავლობაში Eფროსინე მუდამ მადლიერი ყოფილა იმისა. Eრთი თავისი შვილი-Aმბერკი, რომელიც არ გადარჩა მკვლელების ხელსა, იმისთვის მოუნათვლინებია; ბოლოს, როგორც კეთილ სინიდისიანი კაცი და კარგი მზრუნველი ობლებისა, ამოურჩევია Eფროსინეს ის თავის და შვილების აპეკუნათ და არზით უთხოვნია ეპისკოპოზისათვის იმის აპეკუნათ დაყენება. Eს არზა Eფროსინას გაუტანებია თავის შვილისთვის Iაკინთე Oუთბერიძესთვის ჭუთაისს; მაგრამ ამას არზა დაუმალავს და ეპისკოპოზისათვის არ მიუცია. Aდვოკატმა სთქვა, რომ Iაკინოე Oუთბერიძე, როგორც შვილი და პირდაპირი მემკვიდრე თავის მამის ყოფა-ცხოვრებისა, კარგის თვალით ვერ დაუწყებდა ცქერას გარეშე კაცს მღვდელს, რომელსაც Iაკინთეს დედა შვილებას აპეკუნათ აპირებდა დაყენერძნობენ, და შნოიანობისათვის კი თითსაც არ გაანძრევენ.—

Eრთხელ დილით, თითონ დალაქი არ იყო შინ, შემოვიდა სადალაქოში ერთი ისეთი წარჩინებული კაცი, რომ Aლი მარტო ერთმა იმის შეხედულობამ შეაშინა. Eს იყო ფაშის ხუმარა, პატარა, კუზიანი, გრძელ თმიანი კაცი,თავი გოგრას უგავდა კბილები მაიმუნისას. Oავის ბანის დროს ხუმარა იმ რიგათ ილრიჯებოდა და ისეთ ნაირად აუტყდა Aლის, რომ ორჯელ გააგდებინა ხელიდამ ტაშტი და დაღვრევინა წყალი; ეს ისე ესიამოვნა ფაშის ხუმარას, რომ ორჯელვე აჩუქა Aლის ოთხოახი ფარა. Aლი ძლიერ გულმოდგინეთ და დიდის მოწიწებით ჰპარსავდა ხუმარას ძვირფასს თავს; უეცრად კუზიანი ისე საშინლად დაილრიჭა და ისეთ ნაირად დაიყვირა, რომ Aლის შეეშინდა, მსწრაფათ გასწია იქით სამართებლიანი ხელი და მას ნახევარი ხუმარას ყურიც თან გააყოლა.—

Xუმარას უყვარს სიცილი, მაგრამ თავის თავზე კი არა—სხვებზე; ყველაზე უფრო გრძნობიარე ტყავი იმას აქვს, ვისაც სხვისი ტყავი არ ეზოგება. Eრთ წამში ხუმარა წამოხტა, ეცა Aლის, წაუჭირა ყელში ხელი და დაიწყო ბღავილი: „მიშველეთ, მკლავენო“! Aლის ბედათ ყურის ტკივილმა გააშვებინა ხუმარას მისთვის ხელი. Aლიმ, იშოვა თუ არა დრო, გავარდა კარებში და გაქუსლა Dამასკის ქუჩებზე ისე გაცხარებული, როგორც გაქუსლავს ხოლმე ის კაცი, რომელიც დარწმუნებულია რომ, თუ დაიჭირეს, ჩამოხჩობა მოელის.—

(Bათავდება მეორე №-ში).

ულია.—Aლი რომ Dამასკში მივიდა, იმას ერთი ფარა არა ჰქონია ჯიბეში. Iქ არა ჰყავდა იმას არც ნათესავები, არც მეგობრები და არც ნაცნობები; კვდებოდა შიმშილით; მაგრამ შიმშილზე უფრო იმას აწუხებდა რომ მის თვალის წინ ყვითლდებოდა და ლეოდა მისი მშვენიერი ქალი, მისი Oვალის-ჩინი.—Rა უნდა ექნა ამ ნაირ გაჭირვებაში? Dაეწყო მათხოვრობა? Eს არ ეკადრებოდა გუშინდელ ფაშას, რომლის ხელ ქვეშ გუშინ მთელი მაზრა იყო. Eმუშავნა? როგორ შეეძლო! Aლი ყოველთვის ცხოვრობდა კეთილშობილურად, ე. ი. თავის დღეში არაფერი არ გაუკეთებია. Fულების შეძენისათვის ის სცემდა მდიდარ ვაჭრებს და ამ რიგათ ცხოვრობდა;—ამ რიგი საქციელი მარტო ფაშას შეუძლია ხონთქრის ნება დართვით. Eხლა კი ეს მოხელობა იმას სახჩობელას ანახვინებდა. Aლიმ კარგათ იცოდა, რომ ფაშებს არ უყვართ, როცა მათ საქმეში გაერევიან ხოლმე; თითონ იმისთვის ადრე ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო, რომ დაეხჩობინებინა ის ქურდი, რომელიც ისე სულელი იყო, რომ მდიდრებს ჰპარავდა რასმე.—

— Eრთხელ, მარხვით დასუსტებული, Oვალის-ჩინი იყო წამოწოლილი ჭილობზე და სისუსტით თითქმის ვერც დგებოდა; ამ დროს მგელივით მშიერი Aლი დაეხეტებოდა Dამასკის ქუჩებზე, სადაც ნახა, რომ ერთ მაღაზიაში მიჰქონდათ, თავზე დადგმული, ზეთით სავსე ლიტრები; მაღაზიასთან ერთი ვაჭარი იდგა და ამ მუშებს აძლევდა თითოს თითო ფარას (რამდენიმე კოპეიკი) ამ ფარების შეხედვამ ააჟრჟოლა უწინდელი ფაშა. Iს აჰყვა ეიწროკიბეს, დადგა მუშებს შუა და მიიღო ერთი ესეთი დიდი ლიტრა, რომ ორივე ხელებითაც დაჭერა უჭირდა. Kისერ მოხრილი და მხრებ აწეული, Aლი ნელ-ნელა ჩადიოდა კიბეზე; უეცრად იმან იგრძნო, რომ ტვირთი წინ იწეოდა; იმან მოინდომა უკან დაწევა, მაგრამ ამ დროს დაუცდა ფეხი და ჩაგორდა კიბის ბოლომდი; რასაკვირველია თიხის ლიტრაც გატყდა და ზეთიც დაიღვარა. Wამოდგა თუ არა, ვაჭარმა ჩაავლო Aლის საყელოში ხელი.

— Mე უხელო! Eხლავე მოიტა ორმოცდა ათი პიასტრი და გამეცალე აქედან. Oუ არ შეგეძლო, აბა რათ ჰკიდებდი ხელსა?!

— Oრმოცდა ათი პიასტრი! დაღონებით წარმოსთქვა Aლიმ. Sაიდან ეიშოვო? მე ერთი ფარაც არა მაქვს.—

— Mენ თუ არ შეგიძლია გარდახდა, მაშ მე ვიცი, როგორც გაზღვევინებ ჩემ ზიანს. Zულგრილად სთქვა ვაჭარმა და იმის ნიშნებით ორმა ძლიერმა კაცმა ჩაავლო Aლის ხელი; დასცეს და შეუკრეს ფეხები. Aმნაირ მდგომარეობაში ძლიერ ბევრი ყოფილა ხოლმე Aლი-ფაშის ბრძანებით;ეხლა თითონ გამოსცადა ეს; Aლის ისე მაგრათ დაჭკრეს ორმოცდა ათი ჯოხი ქუსლებზე, რომ, გეგონებოდათ, თითონ ფაშის ბრძანებას ასრულებენო.

Sისხლით გასვრილი, ადგა Aლი; შეიხვია ფეხები ძონძებში და ხვნეშით დაკოჭლებულმა გასწია შინისაკენ.

— Dაილოცოს, Rმერთო, შენი სამართალი! ჩაიჩურჩულა Aლიმ.—Sამართლიანად მაწვალებს ეხლა Rმერთი ისე, როგორც უწინ სხვები იყვნენ ჩემგან ნაწვალები; მაგრამ ბაღდადის ვაჭრები, რომელთაც მე ვსცემდი, ჩემზე უფრო ბედნიერები იყვნენ: ისინი თავიანთ მეგობრებისაგან მაინც შოულობდენ ფულებს; მე კი ერთი ფარის პატრონი არა ვარ და ამასთან კიდევ მცემენ.

Aლი სცდებოდა: ერთმა კეთილმა ქალმა, რომელიც დაესწრო მის ცემაზე და იყო მოწამე იმის უბედურებისა, მიიღო იმაში მონაწილეობა; Aლი შეეცოდა იმას. Aმ კეთილმა ქალმა შეუხვია იმას ფეხები, მისცა ერთი ტომარა ფქვილი და ცოტა ლობიო. Fაშობის შემდეგ, Aლის მარტო ამ ღამეს დაძინა მოსვენებით. Xვალინდელი დღისათვის ის არ ზრუნავდა.

Kაცის ჭკუას არაფერი არ აფხიზლებს ისე, როგორც ავათმყოფობა და მარტოობა. Mარტოობის დროს Aლის ერთი მანუგეშებელი აზრი მოუვიდა თავში: „მე სულელი ვიყავი, რომ მუშობა მინდოდა; ფაშას მაგარი თავი არასოდეს არა აქვს; მაგარი თავი მარტო ხარებსა აქვს; ჩემი წოდების კაცი ყოველთვის მარჯვე არის და მოხერხებული ხელების პატრონი, მე ვიყავი ჩინებული მონადირე. Aმას გარდა მე, რამდენიც გინდა, ტყვილებს ვიტყვი და პირმოთნეობაც შემიძლია. Eსენი მე, როგორც ძველებურმა ფაშამ—ძლიერ კარგათ ვიცი. Mაშ მე გამოვირჩევ ისეთ ხელობას, რომლითაც შემიძლია გავაკვირვო მთელი ქვეყანა და მოვიპოვო პატიოსანი შრომით ცხოვრების საშუალება“. Aმ ფიქრის შემდეგ, Aლიმ მოჰკიდა ხელი დალაქობას.—Oავდაპირველ მისი საქმე ძლიერ კარგათ მიდიოდა. Iს დალაქი ვისთანაც Aლი იდგა, აზიდვინებდა იმას წყალს, არეცხინებდა სადალაქოს, ხელზე მსახურობდა, მომსველელებს Aლი მიართმევდა ხოლმე ყავას და ჩიბუხს. Aმ გვარ საქმეებს ის მშვენიერად ასრულებდა; ხანდისხან გაპარსავდა ხოლმე რომელიმე მთიულ ღარიბ კაცსა და რამდენჯერმე ბამბაც დათესა მათ თავზე, მაგრამ ეს არაფერია: ამ ხალხს ისეთი მაგარი ტყავი აქვს, რომ პატარა მოჭრას ვერც იგრძნობენ, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას.—უეჭველია მოზრდილი შვილი იაკინთე იფიქრებდა—სხვა კაცს რა ხელი აქვს ჩემს მამულში, ან დედაჩემი რათ აბარებს სხვას ჩემს მამულს და არ მაძლევს ნებას, როგორც მინდა, მამიჩემის დატოებული ისე მოვიხმაროვო. უ. ნიკოლაძემ დაუმატა, რომ იაკინთეს არც თავის დედასთან ექნებოდა კარგი განწყობილება და მღვდელსაც დაუწყებდა განზე ბღვერას.

აი ეს არის იმის მიზეზიო, სთქვა ადვოკატმა, რომ იაკინთემ ეს საქმე მღვდელს თავზე მოახვია. ამის გამო იაკინთეს სიტყვები არ არის სახეში მისაღებიო. იმის წინააღმდეგ, რომ მღვდელს უნდა გაეგონა ეფროსინას ყვირილიო, ადვოკატმა სთქვა, საქმიდან სჩანს, რომ წინა დღეს მღვდელი დაბრუნებულიყო ერთი სოფლიდან, რომელიც არის სამოც ვერსზე ს. ფუთიდან. ეხლა ჩვენ რომ წარმოვიდგინოთ—რა გზებია შორაპნის მაზრაში, მაშინ, მგონია, დარწმუნდება კაცი, რომ მღვდელი კარგა დაღლილი მობრუნდებოდა თავის მგზავრობიდან; დაღლილ კაცს კი, ჩვენ ეს ყველამ ვიცით, ყოველთვის მძიმეთ სძინავს; ასე რომ ძლიერ შესაძლო არისო მღვდელს არ გაეგონა ეფროსინას ყვირილი; ამას გარდა საქმიდანვე სჩანსო, რომ იმ ღამეს იმათ კირგა ჩაუვახშმებიათ და ჩაულევიათ; ყველა ესენი, რომ მივიღოთ ყურადღებაში, სთქვა ადვოკატმა, მაშინ, მგონი, დავრწმუნდეთ, რომ მღვდელი ვერ გაიგონებდა ეფრისინეს ყვირილს.

ოლქის სასამართლომ იქონია სახეში თავის საფუძვლები და გარდაუწყვიტა მღვდელს ქიკვაძეს, ივანე და იაკინთე ოუთბერიძეებს ერთნაირი დასჯა: ოცი წლის კატორგაში მუშაობა და შემდეგ ციმბირში დასახლება.—

პოლიტიკა.

ანგლია.

უ. ჯორჯ ბრეიმ მისწერა ერთ ანგლიის გაზეთში წიგნი შესახებ ანგლიელი გლეხების ყმაწვილების მდგომარეობისა. „პარლამენტმა გამოსცა კანონები ამ ყმაწვილების მდგომარეობის შესამსუბუქებლად; ამ კანონების ბეჯითად ასრულებისათვის დანიშნულია ცალკე კომმისია, მაგრამ ამ კომმისიას არ შეუძლია ნიადაგ ადევნოს ყური ამ საქმეს. მუშაობის დროს ნაქირავებ ყმაწვილებს ისე ცუდათ ეპყრობიან, როგორც ამერიკაში ნეგრებს: მუშების ზედამხედველს უჭირავს ხოლმე ხელში მათრახი და უთაქებს ზურგზე საწყალ ყმაწვილებს, თუ ისინი ცოტა ხანს შეჩერდენ მუშაობის დროს, ან თუ რამ შესცდათ. ხშირად ყმაწვილები ძლიერ შორიდან მოდიან ხოლმე სამუშაოთ, მაგ. ერთ ექვსი წლის ქალსა ყოველ დღე ოცი ვერსი უნდა გაეველო, ათი სამუშაოთ წასასვლელად და ათი შინ დასაბრუნებლად. ხშირად ამ ქალის უფროსი დები იძულებული იყვნენ ხელით წაეყვანათ ეს საწყალი ბავშვი. ამდენ წვალებაში და მუშაობაში იმას აძლევდენ დღეში ათს კაპ. ხშირად ბავშებს აძლევენ ისეთ სამუშაოს, რომელიც გასაჭირია უფროსებისთვისაც; ამის გამო უმეტესი ნაწილი მუშა ყმაწვილებისა არის ავათმყოფი, ყვითელი, თითქმის ყველას წელი სტკივათ და მალე კვდებიან. ამ ცუდი მოქცევისაგან წარმოსდგა ის, რომ არსად არ არის ისეთი გარყვნილი, გაფუჭებული და უზნეო ხალხი, როგორიც იპოვება ამ ყმაწვილ მუშებში. ერთი მღვდელი აი რას ამბობს ამ საგანზედ: „ერთხელ მე შემხვდა ერთ ანგლიელ სოფელში გზაზედ რამდენიმე ყმაწვილი კაცი, ქალები და ბავშები; თუმცა ისინი, ეტყობოდათ, ძლიერ დაღლილნი იყვნენ, და კოჭამდინ ლაფში მოდიოდენ, მაგრამ მაინც ლაზღანდარობდენ ისეთ საზარელი სიტყვებით და იმღეროდენ ისეთ საზარელ ლექსებს, რომლისაგან კაცს გული ეერევოდა“.—„ბული მიკვდება, ამბობს ჯორჯ ბრეი, როცა მოვიფიქრებ, რომ ამ ნაირ მდგომარეობაშია 80,000 ჩვენი ყმაწვილები! მე არ შემიძლია წარმოდგენა-რა მომავალი მოელის ჩვენ სოფლის ხალხს შემდეგში, თუ დიდხან გაგრძელდა ამ ნაირი ყმაწვილების აღზდა.—ამ ნაირ მდგომარეობაში მუშა ხალხი მარტო იქ არის, საცა მიწის გაყოფილება ისეთ უთანასწოროა, როგორიც ჩვენში, სადაც მთელი მიწა, მთელი ანგლია რამდენიმე პირს ეკუთვნის.—

აპრილის ექვსში იყო სხდომა საზოგადოებების პალატაში და აქ უფ. არჩიბალლმა სთქვა, რომ როცა მესამეთ წაიკითხვენ ბილლს ირლანდიის სახელმწიფო ეკკლესიის გაუქმებაზე, მაშინ მე მოვითხოვო, რომ ეს კანონი ანგლიაშიაც და შოტლანდიაშიაც შეიტანონო.

ისპანია.

როგორც ისმის ლისაბონიდგან, კოროლი ფერდინანდი არას გზით არა ნდომობს ისპანიის ტახტს და პორტუგალიის მმართებლობას მიუწერია თავის ელჩთან მადრიდში, გრაფს ალტესთან, რომ იმან ისპანიის მმართებლობას შეატყობინოს ეს გარდაწყვეტილება კოროლი ფერდინანდისა. მარტის 30-ის ლისაბონის გაზეთებში იყო დაბეჭდილი წიგნი გრაფი ალტესი, რომელშიაც ის სწერს, რომ მე ყოველთვის ერთსა და იმასვე უმეორებდი ისპანიის ხალხსაც და დიპლომატიის წევრებსაც, რომ კოროლი ფერდინანდი არას ოდეს არ მიიღებს ისპანიის ტახტს, თუნდა ყველა ქორტესებმა ერთის ხმით გადასწყვიტონ იმისი კანდიდატობაო. მაგრამ, რადგანაც ჯერ ოფიციალური ცნობა არა აქვსთ მიღებული ამ საგანზე, სახელმწიფო მინისტრი ლორენცანა კიდევ იმედს არა ჰკარგავს. ოლოცაგამ მიიწვია მინისტრები და მომატებული წევრები, რომ იმათ გაგზავნონ ფერდინანდთან დეპუტაცია და სთხოვონ მთელი ისპანიის ხალხის მაგივრად—მიიღოს ისპანიის გვირგვინი.—სამღვდელოება გაზეთებით ავრცელებს იმ ხმას, რომ არეულობის დრო მოახლოვდა და უთუოთ ამ ცოტა ხანში კარლისტები მოჰკიდებენ თოფიარაღს ხელსაო; მაგრამ ეს ხმები თუ სრულებით ტყუილი არ არის, უთუოთ მომეტებული მაინც არის. ერთი პატარა კარლისტების ბანდის წინამძღოლათ არის მოლოზანი პატროსინიოს ძმა.—ბვარწმუნებენ, რომ ოლოცაგას ძალიან კარგათ ესმის, რომ ფერდინანდი ისპანიის გვირგვინს არ მიიღებს, მაგრამ ასე იმიტომ იქცევა, რომ აჩვენოს იმპერატორს ნაპოლეონს, რომ თავისის მხრით მონპანსიეს კანდიდატობის წინააღმდეგი იყო. ბვარწმუნებენ, რომ შეიტყეს თუ არა მადრიდში ფერდინანდის უარობა გვირგვინის მიღებაზე, მაშინვე სერრანომ და ტოპეტემ მოინდომეს თანამდებობის გაშვება, და ჰგონიათ რომ უთუოთ დირექტორობა გაიმართება ისპანიაშიო.—სამინისტრომ დართო ნება პროტესტანტის სახარებისა და სხვა წიგნების შემოტანაზე, რომელნიც არიან უცხო ენებზე დაბეჭდილნი.

— აპრილის 7-ს.—რადგანც ეჭვი აღარ არის, რომ ქორტესებს სურთ ისპანიაში მონარხიული მმართებლობის დაწესება, ამიტომ კანდიდატის ამორჩევაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ აქაური პოლიტიკური კრებაები. პირველი ადგილი, ცხადია, უჭირავს ფერდინანდს პორტუგალიის კოროლს. სერრანო და პრიმს ჰქონდათ რჩევა თავიანთ პოლიტიკურ მეგობრებთან. პირველს თავისუფლების პარტია დაჰპირდა, ჩვენ ერთის ხმით კოროლს ფერდინანდს ამოვირჩევთო, მაგრამ პროგრესისტებმა კი პირობა მოგვცენ, რომ თუ ის სრულებით უარს იტყვის გვირგვინის მიღებაზე, მაშინ იმათ ამოირჩიონ გერცოგი მონპანსიეო. ეხლა ძნელი სათქმელია, რითი დაბოლოვდება ისპანიაში ეს დახლართული საქმეები; ბევრს ეშინიანთ ურთიერთშორის ომისა. მიგუელ—ლოპეც—მარტინეცმა გამოცა ამ ცოტა ხანში წიგნი, სახელათ „უკეთესი ისპანიელი“. ეს უკეთესი ისპანიელი სხვა კი არავინ არის—ის არის კოროლევა იზაბელლა. ავტორი ამ წიგნში ჰკიცხავს სეპტემბრის რევოლიუციას.

მადრიდი, აპრილის 8-ს.—სამღვდელოების და კონსერვატორების გაზეთები ყოველდღე იმაზე ლაპარაკობენ, რომ უთუოთ კარლისტები მოახდენენ არეულობასაო; ისინი ამბობენ, დადნება თუარა თოვლიო, მაშინვე მთებში საზოგადო მოძრაობა შეიქნებაო; და ახლა კი ჩრდილოეთისა და სამხრეთის პროვინციებში მხოლოთ კარლისტების წვრილი ჯარები ჩნდებაო. აგრეთვე ბაზეთი „ეპოქა“ ამბობს, რომ თუმცა მმართებლობას არ მიულია ცნობა კარლისტების არეულობაზეო, მაგრამ ჩრდილოეთისაკენ მაინც ჯარი გაგზავნაო. ამ ჯარის წინამძღოლათ დანიშნულია ბრიგადის გენერალი ვარგასი. უეჭველია, რომ არეულობის მოთავენი ცდილობენ ისარგებლონ ხალხის უსიამოვნობით, მაგრამ მათი ცდა აქამდინ ჰუქმათ რჩებოდა. ამბობენ, რომ გერცოგ მონპანსიეს უნდოდა ესესხნა პარიჟისა და ლონდონის ბანკირებისაგან შვიდი მილიონი ფრანკი, მაგრამ ვერ მოახერხაო.

— ამერიკის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ისპანიის ჯარი ისე ადვილათ ვერ ამშვიდებს ქუბაზე რევოლუციონერებს, როგორც გენერალი დულეიწერებაო; ეს გაზეთები ამბობენ, რომ მაიარზე ომში ისპანიის ჯარი დაამარცხეს ინსურგენტებმა და 300 კაცამდი მოუკლესო. ბენერალი ლა—ტორრეს ჯარიც დამარცხდა ვილლა-ქლარაზე ომშიო. მუშები გაეგზავნათ, რომ ინსურგენტებისაგან გაფუჭებული რკინის გზა გაეკეთებინათ ვილლა-ქლარასა და სიენფუგოს შუა, მაგრამ ისინი გამოერეკათ; ამ რკინის გზის გამართვას ათი ათასი კაცი მაინც მოუნდება. ძალიან ბევრმა დედაკაცებმა და ყმაწვილებმა დასტოვეს პუეტრო პრინჩიპე, და წავიდნენ ინსურგენტების ბანაკში, რომ შეუერთდენ თავიანთ ნათესავებს. ბავანნაში გავარდა ხმა, რომ განდგომილების ჯარმა აიღო ქალაქი სანტ-იაგო, რომელსაც შველოდნენ პერუელი ჯავშნიანი გემებიო.

ფრანცია.

პარიჟი აპრილის 9-ს.—შვიდ'ში საღამოს პოლიცამ აკრძალა სამი საზოგადოების კრებაები: ერთი ამათგანის აკრძალვის დროს მოხდა არეულობა, რომლის დასამშვიდებლად საჭიროდ შეიქმნა ჯარის შემწეობა; ოთხი კაცი დაატუსალეს.—ბუშინ იყო სხდომა მინისტრების რჩევისა, სადაც ლაპარაკობდენ მომავალს ამორჩევაებზე, და მმართებლობის მომხრე კანდიდატებზე. ახლა განსაკუთრებითი ყურადღება მმართებლობისა და მმართებლობის წინააღმდეგი პარტიისა (ოპპოზიციისა) არის მიქცეული მორჩევაებზე. მმართებლობა აბეჭდინებს მინისტერი ფორკადის „სიტყვას“ ოფიციალურს კანდიდატურობაზე და უნდა დაურიგოს სოფლებში მცხოვრებლებს, რათა მიიზიდოს ისინი ამორჩევის დროს; ოპპოზიციის ორატორებიც ამავე აზრით ცდილობენ გაავრცელონ ხალხში თავის ნათქვამი სიტყვები.—ბელგიასა და ფრანციის შუა მოლაპარაკების დასოლოებაზე ჯერ არაფერი არა ისმის რა.

— უცხო ქვეყნის გაზეთში სწერია, რომ ბურიხში მყოფნი პოლშელი ემიგრანტები-გრაფი პლატერი და გრაფი ანდრია ზამოისკი გამოვიდენ ბურიხიდან; პირველი პოზნანში გასამგზავრებლად და მეორე—ბალიციაში. ისინი გაეგზავნა იქ თავადს ჩერტორიჟსკის რაღაც საჭირო საქმისათვის, ამბობენ ეითომ იმათს აქედან წასვლას პოლშის რევოლიუციონერების ახალს განძრახვასთან აქვს კავშირიო.

ამერიკა.

უცხო ქვეყნის გაზეთებში მოჰყავთ შემდეგი წიგნი ერთის ამერიკელის შესახებ ახალი პრეზიდენტის ბრანტის ხასიათისა: „ამ უკანასკნელს დროს მე მალმალ ვხედავდი ბრანტს საზოგადოებაში კერძო პირებთან, და უნდა ვსთქვა, რომ ჯერ ასე ძნელი გამოსაცნობი კაცი სრულებით არსად მინახავს. ბრანტი თავისი სიჩუმით იყო განთქმული, მაგრამ ხანდის ხან კი ძალიან მოლაპარაკე არის ხოლმე. კაცი სიჩუმით ძნელათ დამალავს თავის აზრს: ორიოდე სიტყვის თქმითაც გამოცხადდება კაცის აზრი; ბრანტის გათქმული სიჩუმე სიტყვისა კი არ არის, აზრისაა, და ამიტომაც ისა ხდება გამოუცნობელი სხვისაგან და ზოგჯერ იქნება თითონაც ვერ სცნობდეს თავის თავს. ის პირნი, რომელნიც სდგანან უბრალო ხალხზე ზემოთ, გაიყოფებინა ორ კატეგორიათ: პირველს ეკუთვნიან საზოგადოების წინამძღოლნი ნათელის, მსწრაფლის და გარკვეულის, გონებითა; ესენი მალე შოდიან აღტაცებაში რომელიმე აზრითა, არიან მსწრაფლნი, აქვსთ ძალიან წყლიანი ენა და სხვათა დარწმუნების ნიჭი; მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, რომლებიც ცოტას ლაპარაკობენ, თავიანთ მოქმედებას სხვას არ უხსნიან და თითონაც კი არ ესმით ეს, მაგრამ იმას კი მალე მიხვდებიან—თუ რა უნდა ქმნან რომელსამე შემთხვევაში და როგორ უნდა წაიყვანონ საქმე. პირველთა აქვთ გაელენა სხვებზე თავიანთის მჭევრმეტყველობით და მიუცილებელის დარწმუნების ნიჭითა; მეორენი კი დაიმორჩილებენ კაცის აზრს თავიანთის გონიერობით, კაცის და გარემოების კარგათ გამოცვნით და თავიანთის შეურყეველის ხასიათით, ბოლოს იმით, რომ საკვირველათ იციან ყოველს გარემოებაში წინ დახვდეა. მომეტებული ნაწილი საზოგადოების წინამძღოლთაგანი ეკუთვნიან პირველს კატეგორიას, რომლებიც ყოველთვის იჩენენ ხოლმე თავს; მეორე კატეგორიის კაცები ბევრჯელ ვერც კი სჩნდებიან ხოლმე ხალხში და იკარგებიან იმათში; იმათ ყოველთვის არ ესმით თავიანთი ფასი და ხშირად ძარტო შემთხვევა წამოაყენებს იმათ ხოლმე წინ, როგორც მოუხდა ბრანტს. ისინი შეუდგებიან ხოლმე საქმეს სიმშვიდით და ისე ადვილათ ათავებენ, რომ ბოლოს ხალხს აკვირებენ ხოლმე, რადგანაც ძნელი და შეუსრულებელი ეგონათ ეს საქმე. აი ნამდვილი სახე გენერალი ბრანტისა; იმაში ვერ იპოვით ვერც დიდს განათლებას, ვერც დიდს ცოდნას და ვერც დიდს წარმატებულ გამოცდილებით და სჯით ჭკუას; მაგრამ გაჭკვირდებით იმისი გონიერობით, იმისი ცოდნით—თუ რა საქმეს უნდა სდიონ, ან რა საშუალებით შეასრულონ. ის იტყვის ცოტას, მაგრამ იმის სიტყვებში ცხადათ გამოიხატება მთელი აზრი; უპირველესი ღონე იმისი შესდგება იმის საკუთარს ინსტინქტში, ანუ წინა გამოცნობის ნიჭში.“

იტალია.

ფლორენცია, მარტის 28-ს „სამუდამო რევოლუციის კომიტეტის“ უკანასკნელი პროკლამაცია ისე უგვაროთ და უაზროთ იყო დაწერილიო, ამბობს პარიჟის გაზ. „Liberté“, რომ არ არის დასაჯერი, რომ ის იყოს დაწერილი მაძინისაგან; ამასთან ეს პროკლამაცია მარტო ნეაპოლში გავრცელდა. ვინც იცნობს მაძინის, იმან იცის, რომ იმას ცარიელი სიტყვები და მაღალი ფრაზები არ უყვარს; ის საქმეს უფრო მიზდევს, ვიდრე სიტყვასა. ან რას ნიშნავს ეს“ სამუდამო რევოლუციის კომიტეტი“? იტალიის გაზეთებმა სრულებით არაფერი არ იციან ამ კომიტეტისა. იქნება ის იყოს შემდგარი რამდენიმე ფანატიკებისაგან, რომლებსაც ჰსურთ, რომ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს მათ მოქმედებას. ჩვენ არ შეეცდებით, მგონი, რომ ვთქვათ, რომ მაძინის არაფერი მონაწილეობა არ ექნებოდა ამ ცრუ პროკლამაციის შედგენაში. მაძინი, რომელსაც თავის საქმე ძალიან ხერ-

ხიანათს, მიჰყავ უფრო ღირს შესანიშნავი და საშიშო არის; ის მკაცრათ და მხნეთ უქადაგებს Იტალიის ჯარს, რომ რესპუბლიკის მხარე დაიჭირეთო. რადგანაც მაძინი გამოცდილი არის თავის საქმეში, ამიტომ დიდი ხანია რაც მიხვდა, რომ Იტალიის მონარხიის დამცველი არის ჯარი, რომლის გასარესპუბლიკანელებლად მიჰმართა ყოველი ღონის ძიება. 1860-ში ის ცდილობდა მიემხრო Ბარიბალდის სალდათები, რომელთაც ამის გამო ურიგებდა საკუთარს მენდლებსა. მაძინი მაშინვე აძლევდა დიდს მნიშვნელობას ჯარში ქადაგებას.—Ამ გვარათ ნეაპოლში გაერცელებულს პროკლამაციას არაფერი მნიშვნელობა არ უნდა მივსცეთ, რადგანაც ის უნდა იყოს საქმე ზოგიერთი რევოლიუციელებისა, რომელთაც ერთმანეთში არაფერი კავშირი არა აქვსთ; შესანიშნავი ის არის, რომ ამ ცოტა ხანში მმართებლობამ დაატუსაღა ჯარში რამდენიმე პირი. Ეს არის პირველი ნიშანი მაძინის მოქმედებისა ჯარზე და მმართებლობამაც ახლა პირველათ ნახა, რომ ჯარი მას ღალატობს.

„Ტურინის გაზეთიც“ აი რას ამბობს ამ საგანზე:

ხმა არის, ვითომც მაძინის ამ ცოტა-ხანში ლეგანოს რევოლუციის კრებაში ეხმაროს ყოველი თავისი ღონის ძიება, რომ ისინი აბუნტებულიყვნენ, რადგანაც ახლა კარგი დრო არისო და ყველაფერიც მზათ არის საქმის მოგებისათვისაო. ჩვენ ვგონებთ, რომ საქმე სულ ასე არ იყო. ჩვენ ვიცით, რომ მაძინი ურჩევს მოცდას თავის მომხრეებს, მაგრამ რადგანაც მომხრეებმა უპასუხეს, რომ ახლა რევოლიუციისთვის ძალიან კარგი დრო არის და, თუ შენ უარს ამბოფო, მარტო ჩვენ დავიწყეფთ არეულობასაო; ამიტომ მაძინიც იძულებულ იყო გარეოდა იმათში; არეულობის დაწყების დროც დასდვა მარტის 21 რიცხვი; ეს უნდა ასრულებულიყო, თუ რამ დაბრკოლება არ ენახათ, მაგრამ დაბრკოლება მართლათ შეხვედროდათ და ამიტომ გადაედვათ არეულობის ვადა შემდეგისათვის. ჩვენ გვსურს, რომ ტყუილი ხმები ამ საქმეზე არ დადიოდეს საზოგადოებაში და ყველამ იცოდეს ნამდვილი მნიშვნელობა ამ საქმისა.“

Აპრილის 1. მმართებლობის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ის ხმები, ვითომც Იტალიის სხვა და სხვა მაზრებში დიდი არეულობა მომხდარაო, სრულებით უსაფუძვლონი არიანო; თუმცა რომელიმე ადგილებში იყო დემონსტრაციები, მაგრამ ამათ ერთმანეთში კავშირი სრულებით არა ჰქონიათ; ამას გარდა ბევრ სოფლის მცხოვრებთ ამ დემონსტრაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საბერძნეთი.

Ათინა, მარტის 30-ს. Კანდიელები საბერძნეთიდგან ნელნელა მიდიან თავიანთ ქვეყანაში; ახლა აქ ცოტანილა არიან დარჩენილნი. Ერთი Კანდიელების წინამძღოლთაგანი, რომელიც ბოლოს დროს დაემორჩილა Ოსმალეთს, მოვიდა Კონსტანტინოპოლში და იქ პოლიციის მინისტრმა დაუწყო კითხვა გამოსაძიებლათ. რადგანაც კანდიელები ძნელათ აძლევენ თავიანთ თოფ-იარაღს Ოსმალეთს, ამიტომ მმართებლობა ფასითა ყიდულობს იმათგან ამ იარაღს.

ტელეგრამები

(Პეტერბურღში მიღებული)

ვადრიდი, აპრილის 1-ს.—Ალტალონიაში კარლისტებმა მოახდინეს არეულობა; მაგრამ ჯარი მკაცრათ შეერია საქმეში და მაშინვე მოსპო.

ვაშინგტონი, მარტის 21-ს. პენსილვანიის უწინდელი გუბერნატორი, უფ. ქერტინი, დაინიშნა შეერთებული შტატების ელჩათ რუსეთის მმართებლობასთან.

ამხანაგებისადმი.

(სიტყვა თქმული გიმნაზიელისაგან ქუთაისის გიმნაზიის აქტზე 1868 წ. 10 დეკემბერს)

Საყვარელო ამხანაგებო!

Ერთი უმთავრესი ღირსება და უპირატესობა კაცის სხვათა შორის მდგომარეობს მასში, რომ ის ჰსცხოვრებს წარსულით, აწმყოთი და მომავალით. Წარსული წარმოუდგენს მას მთელს წარსულს კაცობრიობის ცხოვრებას, ყოვლის მისი სისრულით და ნაკლულევანებით, და ესრეთ შეუდგენს მდიდარს და გამოულეველს საუნჯეს მისის გონების და ზნეობის გახსნისა და განწვრთნისათვის. Აწმყო დგმა ხედავს და ჰკითხულობს მისში—(წარსულში): როდეს, რომელს გზაზე უელიათ იმათ წინაპართ და რომელს იმათგანს სადამდინ მიუყვანია ისინი; ის ირჩევს ამ გზებისაგან თავისათვის უმეტესად ნამდვილს და საკუთარს ცხოვრებას. Ის ჰსცდილობს მოიხმაროს და გამოიყენოს ცხოვრებაში ყოველი, რაც კი შეუძენია და დაუტოვებია მისთვის წარსულს დგმას; ის ჰსცდილობს აგრეთვე, რომ არა თუ შეასრულოს ის, რაც დაუწყია და ვერ მოუსწრია უწინდელ დგმას, არამედ თვითონაც მოიგონოს და გააკეთოს რამე ესეთი, რომელიც არა ჰსცოდნია და რომლითაც არ უსარგებლებიათ მის წინაპართ. რაც შეეხება მყოფადს, მისი საფუძველიც აწმყოში უნდა დაფუძნდეს ისე, როგორც აწმყოს საფუძველი დაფუძნებულია წარსულზედ.

Კაცი იქნებოდა ნამეტანი თავის მოყვარე, რომ მარტო თავისთვის ეზრუნვა და არა მომავალისათვისაც; მაგრამ კაცი თითქმის იმოდენათ სცხოვრებს და ზრუნავს მომავალისათვის, რამდენსაც აწმყოსათვის. Საზოგადოდ კაცი, თვისის ბუნების წყალობით, ისეთი არსება არის, რომ არა თუ სხვა დროს, არამედ მაშინაც კი ზრუნავს, როდესაც ცხადათ ჰხედავს და გრძნობს, რომ მისი შრომის ნაყოფი მის სიცოცხლეში არ მოიმკება; მხოლოდ ერთი ის აზრი, რომ მისი შრომის ნაყოფით ისარგებლებს შთამომავლობა, არა თუ ამოქმედებს მას, არამედ კიდევაც ანუგეშებს და ახარებს. Ყოველი მშრომელი, რომელსაც კი კარგათ ესმის თავისი მშობლიური მოვალეობა, იხარებს და კვდება უშფოთველად, როდესაც ხედავს, რომ სტოვებს თავის შვილებს ნაპატრონებს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.—რამდენი ისტორიული პირნი არიან ისეთნი, რომელთაც არა თუ არ უსარგებლებიათ თავიანთი შრომის ნაყოფით, არამედ თვითონ თავიანთი საკუთარი სიცოცხლე შეუწირავთ შემდგომის ტომის კეთილ დღეობისათვის! Ყველა ეს არის იმის დამამტკიცებელი რომ, მომავალი მჭიდროდ არის შეკავშირებული აწმყოსთანა და ეს უკანასკნელი წარსულთან; რომ, როგორც ლეიბნიცმა სთქვა:

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,
Არის მშობელი მომავალისა.“

Თქმულისაგან ცხადათ სჩანს, თუ რამდენად უნდა ხელ—მძღვანელობდეს ყოველი აწმყო ტომი წასრულით თავის ცხოვრებაში, და რამოდენად უნდა ზრუნავდეს მომავალისათვის. Ეხლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ჩვენ წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე.

Ვინც კი დაუკვირდება კარგათ ხალხის ცხოვრებას და შეისწავლის მისს ისტორიას, ის ადვილად დაინახავს, რომ თვით დროება უჩვენებს და უქადაგებს ხალხსა, როდეს, რა რიგათ უნდა მოიქცეს, რომელ გზაზე უნდა გაიაროს და სხვ. Ერთი სიტყვით, რომ არ გავაგრძელოთ ლაპარაკი, შეიძლება ვსთქვათ, რომ დროება და გარემოება თვითონ შობენ ხალხს და ამოქმედებენ მას.

Ამის დასამტკიცებლად ავიღოთ მაგალითათ ჩვენი, საქართველოს, წასრული და აწმყო.

Ჩვენი სამშობლოს წარსული ცხოვრება გვიჩვენებს, რომ თვით დროება უქადაგებდა ჩვენ წინაპარებს, რა უნდა ექმნათ იმათ. Რომელს მხარეს კი გაიხედავდენ ისინი, ყოველგან ხედავდნენ მტრებს, რომელნიცა ექადოდენ მათ ამოწყვეტას, მამულის აოხრებას, სჯულის და ჩვეულებების შეგინებას; ამის გამო, რასაკვირველია, მაშინ მათი პირველი და მიუცილებელი ვალი იყო მტრებთან ბრძოლა ყოველთა მოხსენებულთა დასაცველად; თვინიერ ამისა შეუძლებელი და მოუფიქრებელი იყო, არა თუ მათი ბედნიერება და კეთილდღეობა, არამედ თვით სიცოცხლეც.

Ჩვენთა წინაპართა კარგა ესმოდათ ეს თავიანთი მდგომარეობა და დროების მოთხოვნილება და კიდევაც ერთგულად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას. Უწინდელნი მშობელნი სიყმაწვილიდგან აძლევდენ ხელში თავიანთ შვილებს სამხედრო იარაღებს და ავარჯიშებდენ იმათ სამხედრო მოქმედებაში, რომ ისინი შექმნილ იყვნენ თავის დროზე კარგი მხედრები და ღაეცვათ მტრებისაგან თავიანთი მამული; შვილებიც ბეჯითად ეკიდებოდენ და სწავლულობდენ თავიანთ საქმეს. Თუმცა უწყალო მტრები არ აძლევდნენ იმათ დროებას მოსამზადებლად, მაგრამ ისინი ისე ერთგულად მეცადინეობდენ, რომ ბევრი მათგანი სიყმაწვილეშივე იჩენდნენ საომარ ველზედ მხნეობას და იცავდენ მტრებისაგან მამულს. Ამ ნაირ გარემოებას, რასაკვირველია, ჰქონდა თავისი შედეგი: წინაპარნი ჩვენნი—ძველნი ივერნი უფრო გახსნილ იყვნენ ფიზიკურად, მათში აღორძინდა მამაცობა და შეუმუსრავი ძალა; ისინი შეიქნენ უწარჩინებულესნი მხედარნი თავიანთი დროისა და, თუმცა რიცხვით ცოტა იყვნენ, მაგრამ ძლიერებით და მხნეობით არ დაუვარდებოდნენ ურიცხვ მტრებს. Ისინი თითქმის უხსოვარ დროდგან იცავდნენ თავის საყვარელს მამულს, ხალხს და სარწმუნოებას; მრავალი მათგანი, თუმცა ცხადათ ხედვიდენ ზოგჯერ, რო შეიქმნებოდენ ომში—მამულის მსხვერპლად, მაგრამ მაინც არა ზოგვიდნენ მამულისათვის თავიანთ თავს. Აქედგან სჩანს, რომ წინაპარნი ჩვენნი ცხოვრობდენ და იბრძოდენ არა მხოლოდ თავიანთ თავისათვის, არამედ შთამომავლობისათვისაც. Ამგვარად ისინი თუმცა ერთგულად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას და ბეჯითად ემსახურებოდენ სამშობლოს, მაგრამ იმ გაუწყვეტელ და დაუსრულებელ მტერთან ბრძოლას ის ცუდი ბოლო ჰქონდა, რომ ისინი, როგორც სხვა Აზიელი ერნი ჩამორჩენ უკან განათლებით. Ესეთი იყო საქართველოს წარსული ცხოვრება.

Ეხლა ჩვენი ისტორიული მდგომარეობა და დრო გამოიცვალა. Დროც და გარემოებაც იმას მოითხოვს ეხლა, რომ გულმოდგინეთ ვცდილობდეთ ჩვენ განათლებას და არ დავშთეთ უმეცრების სიბნელეში. Ამაზედ გვიქადაგებს ჩვენ დღითი დღე თვით დროება—და ჩვენი მხრის საჭიროებაებიც. Ვისაც კი ესმის ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა, ადვილად გამოიცნობს, რომ განათლებაზე არის დამოკიდებული ჩვენი ეხლანდელი და მომავალი კეთილდღეობა და ბედნიერება. მაშა სადამე მეცნიერება და განათლება შეადგენენ იმ საგანს, რომელსაც უნდა გულმოდგინეთ ველტოდეს თითოეული ჩვენთაგანი, საყვარელო ამხანაგებო! სწავლის მიღებაში და განათლებაში ჩვენ ისე ბეჯითი და მუყაითი უნდა ვიყოთ, როგორც ჩვენი წინაპარები იყვნენ სამხედრო საქმეში. როგორც ისინი ცდილობდნენ თავიანთ ფიზიკური ძალის გახსნას და გავარჯიშებას, ჩვენც ესრეთვე უნდა ვსცდილობდეთ. ეხლა გვსურნათ უმეტესად ჩვენი სულიერი ანუ გონების ძალი. მაშინდელი შვილები სთხოვდნენ თავიანთ მამებს იარაღებს, სამხედრო საქმეებში გასავარჯიშებლად; ეხლა ჩვენ მოვსთხოვოთ ჩვენ მშობლებს, რომ მოგვცენ ყოველი საშუალება სწავლის მისაღებად და გასანათლებლად.

ზოგიერთნი მწერლებთაგანი, რომელთაცა არა გაეგებათ რა ჩვენი არც წარსულის, არც აწმყოს, ამტკიცებენ—ვითომც ჩვენ სხვაზე ნაკლები ნიჭიერები ვიყვნეთ და არ შეგვეძლოს სწავლის და განთლების შეთვისება-ჩვენი ვალია დაუმტკიცოთ საქმით ამ გვარ უტვინო მწერლებს, რომ ისინი სცდებიან, რომ ჩვენც ისეთ ნაირი ტვინი გვაქვს, როგორც ევროპელებს, თუმცა ამის დასამტკიცებელად მაგალითებს ისინი, თუ გასჯილიყვნენ, კი მონახვიდენ, ჩვენ წარსულ ცხოვრებაშიაც, მაგ. მე XI, XII, XIII. საუკუნეში.

საგანი, რომელსაც ებრძოდნენ ჩვენი წინაპარები მამულის თავისუფლობისათვის, იყო გარეშე მტრები; საგანი, რომელსაც ეხლა უნდა ვებრძოლოთ ჩვენ გონების განთავისუფლებისათვის, არის უმეცრება და ამაო რწმუნება, რომელნიცა გარეშე მტრებზე უფრო საშიშარიც არიან. Ესენი შეადგენენ კაცობრიობის შინაგან მტრებს. Განათლებული ევროპა თითქმის აქამომდის ებრძვის და სდევნის ამ შინაგან მტრებს, მაგრამ მაინც ვერ მოუცილებია თავიდან ის სრულებით. Ამავე მტრებს უნდა ვებრძოლოთ ეხლა ჩვენ, რომ გავათავისუფლოთ მათგან ჩვენი სამშობლო, და ისე გადავსცეთ ის ახალ შთამომავლობას. Ამაში მდგომარეობს ჩვენი მოვალეობა წინაშე შთამომავლობისა, და უკეთუ ჩვენ არ აღვასრულებთ ამას, მაშინ შევიქმნებით პასუხის მგებელი და გასაკიცხავი ამათგან.

Თუ ყველა ჩვენგანი შეუდგება ერთგულად იმ განათლების გზას, რომელზედაც ზევით ვსთქვით და არ დაზოგავს თვისსა ფიზიკურსა ღა სულიერსა ძალს სწავლისა და განათლების მისაღებად, მაშინ ჩვენ იმედი გვექნება, რომ წარვდგამთ ნაბიჯს განათლების გზაზე, და მოუტანთ ჩვენ მამულს და შთამომავლობას შესაფერ სარგებლობას.

ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს.

Დალამების დროს გაჩუმებულად
Ოთახში მარტო ჯდომა მიხარის,
Დალონებულსა დალონებულად
Მიყვარს ბუტბუტი ჩემის ბუხარის.

Უჭვრეტ, ვით ალი დუდუნით, ფეთქით
Შეშას ეხვევა, ემიჯნურება,
ხან გაჯავრებით, ტკლეცით და ხეთქით,
ნახშირთა სტყორცნის და ემუქრება.

ხან დამშვიდდება და განაზდება,
ლაჟვარდ—ძოწითა შეიმოსება,
ხტუნავს და ცელქობს, გალამაზდება,
ქვლავ საყვარელსა ეალერსება.

Მაშინ ფიქრები შორს წამიღებენ,
Სატრფო მხარეში მარონინებენ,
Სარწმუნოებას კვლავ მიბრუნებენ,
Ბედნიერ სიზმრებს მომაგონებენ.

ჰა! მეგობარი და ნაცნობები,
Ყურსა მიტკბობენ ძვირფას ამბებით,
Მიღიმდებიან წრფელი გრძნობები,
Ოცხალს მიცქერენ სიამოვნებით;

Მანუგეშებენ, თვითც ნუგეშობენ,
Კეთილსა სცნობენ და ჰყვავდებიან,
Უსაქმოდ, ფუჭად წამს არ უშობენ,
Ტვინს იმდიდრებენ, ვითარდებიან.

Ვითომც მეტყვიან: „ჰა, ძმაო, ვითა
Რასაც ვნატრობდით—დაცავბადენით,
Ერთბამად ცდითა, გონების ხსნითა,
Ევროპის ნათელს მივეახლენით.“

„Ჭორი, ყბედობა, უგუნურობა
Პატიოსნურად ერთ აზრად ვსცვალეთ;
Ერთგულად მოძმეთ ჩვენ მსახურება
Კანონად ვსდევით, ყოვლად ვიცვალეთ.“

Ამა ოცნებას, ტკბილსა სიზმრებსა
მწარე სიცხადე მყის მაგდებინებს,
Როს ქარიშხალი ჩემსა ფანჯრებსა
ბღავილით, კვნესით დაახრიგინებს.

Ცივი ბუნება თავ მოწონებით,
ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის, ღრიალებს,
Და საწყალს კაცსა თფილსა ბუნებით
Ყინვის ზვირთებსა მომიგრიალებს;

Მხოლოდღა მაშინ ვიცნობ და ვკრთები,
Რომა უძრავად აქვე მყოფივარ.
Ახ! ნეტავ, ნეტავ! რად არ მასხს ფრთები,
ნამდვილ მივფრინდე, საც ფიქრითა ვარ.

ზარდახეეწილი..

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го апрѣла, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.